KA030152146084118

№ 01-6313/ს **26 / დეკემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს
შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსის
ელზა ჯგერენაიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონში „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ შეტანილი ცვლილებით, საქართველოში მყოფი საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებად განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული ცვლილებით ამავე სამინისტროს დაევალა საქართველოში მყოფი საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მათი ამ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა.

ასევე ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან ერთად, უცხოელთა ინტეგრაციის პროგრამების განხორცილებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან დაქვემდებარებაში გადმოეცა ქალაქ თბილისში ლიბანის ქუჩაზე არსებული ინტეგრაციის ცენტრი და უცხოელთა ინტეგრაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 82 000 ლარი.

აქვე გაწვდით დეტალურ ინფორმაციას ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციებისა და სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 82 000 (ოთხმოცდაორი ათასი) ლარის მიზნობრივი გახარჯვის თაობაზე:

უცხოელთა ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციები:

1. შესაბამისი სამიზნე ჯგუფების კონსულტირება;
2. ქართული ენის კურსები;
3. სამოქალაქო განათლება (სამართლის კურსები);
4. ისტორიის კურსები;
5. გასვლითი ღონისძიებები (დაგეგმილი, დამატებითი აქტივობა).

ბიუჯეტი: 82 000 (ოთხმოცდაორი ათასი) ლარი

აქედან 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი იხარჯება ინტეგრაციის ცენტრის შენახვის, დაცვის და კომუნალურ ხარჯებზე, ხოლო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი იხარჯება უშუალოდ უცხოელთა ინტეგრაციის პროგრამებზე.

ზემოთ ხსენებული პროგრამის პარალელურად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოში მყოფი საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს ასევე აწვდის შემდეგი სახის სერვისების:

1. ჯანმრთელობის დაცვა;
2. სოციალური დახმარება;
3. დასაქმების ხელშეწყობა;
4. პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგახსნებეთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში,

სამართლებრივად უცხოელთა ინტეგრაციის კუთხით შესაბამისი ფუნქციების ასახვის მიზნით შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ იქნა ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N473 დადგენილებაში და "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის № 01-1/ნ ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების პროექტები.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტებს, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელების, ინტეგრაციის ცენტრისა და შესაბამისი ბიუჯეტის ჩვენს სამინისტროში გადმოტანისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

აქვე დანართის სახით გიგზავნით ზემოთ ხსენებული ცვლილებების პროექტებს.

დანართი: 2 დოკუმენტი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ელზა ჯგერენაია